№ 233 ნოემბერი 5, შაბათი 1888 ნოემბერი 5, შაბათი № 233

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ნინო ნიკოლოოზის ასული ბაგრატოვისა შეილითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა ავთანდილ ფირანის ძის ბაგრატოვისას და სთხოვს მობრძანდნენ ხვალ, კვირას, 6 ნოემბერს, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, დილის 9 საათზედ, საკუთარს სახლებში, № 68, გარდაცვალებულის გვამის მისასვენებლად კუკიის ალექსანდრეს ეკკლესიაში. (1—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა სთხოვენ მობრძანდნენ მორიგს სხდომაზე, შაბათს, ხუთს ნოემბრისას, საღამოს შვიდს საათსა და ნახევარზე.

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები;

2) მოხსენებანი საზოგადოების ნამდვილის წევრებისა—ბ-ნი დ. ვ. ინანაშვილისა და გ. გ. ალიბეგოვისა—ვაზის სნეულებათა შესახებ.

სხდომაზე შეუძლიან დაესწრნენ არა-წევრთაცა. (2—2)

ტფილისი, 4 ნოემბერი

ქალაქის საბჭოსაგან ამორჩეულმა კომისიამ ორჯელ იქონია მსჯელობა თეატრის დამთავრების საქმის თაობაზედ*). პირველი მოხსენება კომისიისა ქალაქის საბჭომ არ შეიწყნარა და ამიტომაც ჩვენ საჭიროდ არა ვრაცხთ მოვიყვანოთ,—რაში მდგომარეობდა კომისიის პირველი მოხსენება. საბჭომ ხელ-მეორედ დაავალა პირვანდელ კომისიასვე ხელ-ახლად გადასინჯვა საქმისა. კომისიამ გადასინჯა და 4-ს დეკემბერს 1886 წლის თავისი ახალი მოხსენება წარუდგინა ქალაქის საბჭოსა და საბჭომ შეიწყნარა ეს ახლად შემუშავებული აზრი კომისიისა.

კომისიის აზრი, საბჭოს მიერ შეწყნარებული და მიღებული, ის იყო, რომ ქალაქს ეკისრნა თავისის ხარჯით დამთავრება თეატრისა, ხოლო შემდეგის პირობით-კი:

1) ტფილისის თეატრს ეძლეოდეს შემდეგაც ყოველ წლიური სუბსიდია მთავრობისა რიცხვით 42,195 მან., რომელიც მოხმარდება განსაკუთრებით თეატრის საქმეს.

2) ამ სუბსიდიიდამ მიეცეს ქალაქს წინადვე ხაზინიდამ სამის წლის ფული ერთად, ესე იგი, 126,585 მანეთი.

3) დანარჩენს ფულს, რაც მოუნდება თეატრის დამთავრებას, სახელდობრ, 105,760 მანეთს თვითონ ქალაქი იშოვის იმ პირობით, რომ ეგ ვალი სუბსიდიის ფულიდამ გადასწყვიტოს.

4) რადგანაც ქალაქს სუბსიდიის ფული სამის წლისა ერთად წინადვე აღებული ექმნება, ამის გადასახდელად მთავრობამ უკან დაიჭიროს სუბსიდიის ფულიდამ ყოველ წლივ 5,505 მანეთი 23 წლის განმავლობაში და დანარჩენი-კი 36,690 მანეთი ყოველ წლივ აძლიოს ხოლმე ქალაქს.

5) 1891 წლამდე, ესე იგი, ოთხ წელიწადს ქალაქს კიდევ ეძლეოდეს თავისი ხვედრი წილი ბაქის ფულისა წელიწადში ექვსასი თუმ.ნი, რომელიც მოხმარდება სხვადა-სხვა საგანს, თეატრის ხარჯის ანგარიშში არ მოქცეულს.

6) თეატრი გარდაეცეს ქალაქს სრულ საკუთრებად და ქალაქსავე ჰქონდეს გამგეობა თვით თეატრის საქმისა.

7) ქალაქი ჰკისრულობს რუსულს დრამატიულს ხელოვნებას შეეწიოს ფულითა და აძლიოს ანტრეპრიზას ყოველი ღონისძიება მაგ ხელოვნების სასურველ სიმაღლეზედ დაყენებისათვის.

8) 23 წლის შემდეგ მთავრობის მიერ დანიშნული სუბსიდია შეიძლება 9,520 მანათზე ჩამოხდეს, თუ გარემოება ამაში ხელს შეუწყობს ქალაქს.

ეს პირობანი დაამტკიცა ქალაქის საბჭომ და ქალაქის თავის მიერ 9 დეკემბერს 1886 წლისას წარედგინა მის ბრწყინვალებას მთავარ-მართველს, რომელმაც თავისის მხრით გადასცა შინაგანთა საქმეთა მინისტრს გასაბჭობლად. 16 ოქტომბერს 1887 წ. მინისტრმა მოიწერა, რომ თუმცა ქალაქის საბჭო უარს არ არის იკისროს დამთავრება თეატრისა, მაგრამ ასეთს პირობებსა სდებს, რომ ამ პირობების მიღება ყოვლად შეუძლებელიაო. გარდა ამისა მინისტრი იწერება, რომ ეგ გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოსი იმისთანა რამ არ არის, რომ მისი შეცვლა და სხვა გადაწყვეტილების დადგენა შეუძლებელი-და იყოსო და ამიტომაც სთხოვა თავადს მთავარ-მართველს, თუ საჭიროდ დაინახოს, დაიყოლიოს ქალაქის საბჭო იმისთანა გადაწყვეტილებაზედ, რომელიც უფრო შეეფერება როგორც თვით საქმის ბუნებას, ისეც მის ეხლანდელს ვითარებას.

ამის მიხედვით მისმა ბრწყინვალებამ მთავარ-მართველმა ურჩია ქალაქის საბჭოს ამ თეატრის დამთავრების საქმე ხელ-მეორედ გადასინჯოს და ამასთან სასარგებლოდ სცნა თავისი აზრიც ამ საგანზედ ეუწყებინა. მისი ბრწყინვალება მთავარ-მართველი ბძანებს, რომ ქალაქს, თუკი მოიწადინებს, შეუძლიან თავისის ხარჯით დაამთავროს თეატრი, რომელზედაც მთავრობამ ამოდენი ხარჯი და შრომა გასწია; მთავრობაზედ-კი ამას იქით ნურავითარს იმედს ნუ იქონიებთო, რადგანაც მთავრობა ვერაფერს შეგეწევათ ფულითა, თუ სესხით ვეღარ აღმოგიჩენთო. ხოლო თუ თეატრს თქვენის ხარჯით დაამთავრებთ, მაშინ თეატრის საქმე ასე ვფიქრობ მოვაწყოვო სამერმისოდ:

1) თეატრის საქმის გამგეობა და პირდაპირი ზედამხედველობა დაევალება მთავრობის დირექციას, რომელშიაც ერთი, ან ორი წარმომადგენელი ქალაქისაც იქნება.

2) ამ დირექციას მიეცემა მთავრობას მიერ დანიშნული სუბსიდია თეატრის შესაწევრად, ხოლო ზომა ამ სუბსიდიისა წინადვე არ იქნება განსაზღვრული.

3) მთავრობის მიერ დანიშნულ დირექტორს დაევალება განაგოს და გაუძღვეს სცენის საქმეს თეატრისას, ხოლო სამეურნეო საქმე-კი საკუთრივ დაექვემდებარება ქალაქის წარმომადგენელსა და რაც საზოგადო საქმე იქმნება, იგი გაიბჭობა კოლლეგიის წესით.

4) მთავრობის მიერ დანიშნული სუბსიდია მთლად უნდა მოხმარდეს მხოლოდ დრამატიულს და ოპერის წარმოდგენას და ყოველს მას, რაც შეეხება სცენისა და დეკორაციის საჭიროებას, და პირდაპირი ანგარიში ყოველ ამისი მთავრობის მიერ დანიშნულ დირექტორის ხელთ იქნება.

5) თუმცა მთავრობის წარმომადგენელს პირდაპირ არ ექვემდებარება სამეურნეო ნაწილი თეატრის საქმისა, მაგრამ ყოველი ანგარიში ამ ნაწილისა დაუბრკოლებლივ უნდა წარედგინოს მას გასაჩხრეკად.

6) ყოველივე სარჩიელი, რაც-კი შეეხება წარმოდგენების გამართვას სეზონში, ანუ თეატრის მიცემას ანტრეპრენიორისათვის, უნდა წარდგენილ ექმნას მთავარ-მართველს ნება-დასართველად.

ეს პირობანი და სარჩიელნი ბ-ნმა გუბერნატორმა გადასცა ქალაქის თავსა და სთხოვა ყოველივე ეს გაასინჯოს ქალაქის საბჭოს. ქალაქის გამგეობამ 17 ღვინობისთთვეს 1888 წელს გადასინჯა რა ეს ახალი ვითარება და გარემოება საქმისა, დაადგინა, რომ ქალაქს არავითარი ღონისძიება არა აქვს იკისროს დამთავრება თეატრისა, თუ არ იმ პირობით, რაც 4 დეკემბერს 1886 წლის განაჩენშია მოხსენებული. ეს განაჩენი გამგეობამ

*) ყოველი ცნობანი ამ თეატრის დამთავრების საქმისა ჩვენ ამოვკრიბეთ თვითონ ქალაქის საბჭოს ოქმისაგან, რომელიც უკვე დაბეჭდილია.

## ფელეტონი

### სამეცნიერო ამბები

ცოლ-ქმრობის საქმე.—საგანს ძირი უნდა მოუძებნოთ!—ცოლ-ქმრობა კაცობრიობის ცხოვრების პირველ ხანებში.—არეული ცოლ-ქმრობა.—ცოლების დროებით დათმობა.—„მრავალ-ცოლობა“.—„ერთ-ცოლობას“ ძლიერ ძნელად ითვისებს ადამიანი.—როგორ გაჩნდა „მრავალ-ცოლობა“?—ყველგან ღონიერი უღონოსა სჩაგრავს!—კანონი ერთს ამბობს, ცხოვრება სხვას.—ყორანი უბძანებს.—ჯიბე უკრძალავს!—რას ამტკიცებს ან ერთი და ან მეორე მაგალითი?

ცოლ-ქმრობის საქმე ცაში რიგდებაო,—იტყვიან ჩვენში. როგორ? ამას ნუ მკითხავთ, პასუხს ვერ მოგცემთ: ცა ჩვენთვის მეტად მიუწთომელია და იმის გაგება, თუ იქ რა და როგორ კეთდება, მეტად ძნელია.

მაშ ცას თავი დავანებოთ, ისევ ჩვენს დედამიწაზე დავეშვათ და ვიკითხოთ: აქ როგორღა რიგდება ცოლ-ქმრობის საქმე?

ვიცი, პირიდამ სიტყვას წამართმევთ და მეტყვით: განა ამასაც ლაპარაკი უნდა? ეს ვინ არ იცის? ამის გაგებას ოღონდაც რომ თავის მტვრევა არ უნდაო!..

მოითმინეთ: ჯერ ერთი, რომ გაგებაც არის და გაგებაც, და მეორე, რომ,—იმ ერთის ფილოსოფოსისა არ იყოს,—ყოველს საგანს ღრმად უნდა ჩაუკვირდეთ, ჩაუფიქრდეთ, ძირი უნდა მოუძებნოთ. და ცოლ-ქმრობას-კი, უნდა მოგახსენოთ, ძირი ძალიან შორს და ღრმადა აქვს გამდგარი.

მართლა-და ცოლ-ქმრობა დღევანდელი და გუშინდელი ამბავი ხომ არ არის! ამასაც თავისი წარსული აქვს, და ეს წარსული მეტად შორიდამ იწყება, მეტად ძველის-ძველის დროიდამ მოდის, იმ დროიდამ, როდესაც ადამიანი ჯერ ისევ განადირებული იყო, გარეულადა სცხოვრებდა. ხოლო მაშინ, კაცობრიობის ცხოვრების დასაწყისის პირველ ხანებში, ცოლ-ქმრობა ის არ იყო, რასაც დღეს ვხედავთ; მას აქეთ ბევრ ნაირად იცვალა სახე, ვიდრე დღევანდლამდე მოახწევდა.

ნუ თუ ყურადღების ღირსი არ არის ეს საგანი, ნუ თუ მეტი იქმნება იმის გაგება, თუ რა იყო წინად, პირველში ცოლ-ქმრობა, რა გვარი ცვლილება გამოიარა შემდეგში, რა სახე მიულია დღეს, რა ნაირად შეიცვლება კიდევ, როდის შეიცვლება და რა სახეს მიიღებს.

ყველა ამას ცოდნა არამც თუ მეტი არ იქმნება,—საჭიროც არის; საჭიროა იმიტომ, რომ ცოლ-ქმრობა, რაც უნდა სთქვან, ქვა-კუთხედია ოჯახისა, და ოჯახი ხომ ის დედა-ბოძია, ურომლისოდ კაცობრიობა თავისის ურთიერთობის სიმაგრეს, შემაერთებელ ძალას დაჰკარგავდა და მხოლოდ ადამიანთა ხროვას-ღა წარმოადგენდა. გარდა ამისა, ცოლ-ქმრობის სიმტკიცე და სიმაგრე ხომ,—თვით ცოლქმრობა რა სახისაც უნდა იყოს, ეს სულ ერთია,—ზნე-ჩვეულების სიმტკიცე და სიმაგრეა! ერთიცა და მეორეც-კი იმისი უტყუარი საბუთია, რომ კაცობრიობის წარმატება მტკიცე გზაზე დგას.

ეხლა ხომ დამიჯერებთ, რომ ეს საგანი ღირსია კარგად გაცნობისა. მაშ გავიცნოთ. დავიწყოთ თავიდამ.

**

როგორი იყო პირველად ცოლ-ქმრობა?

ვერ ვაქებთ ჩვენთა წინაპართა,—თუმცა ადამიანი ერქვათ, მაგრამ ადამიანური ყოფა-ქცევა, ზნე-ჩვეულებაკი არა ჰქონიათ. მაშინდელი ცოლ-ქმრობა სრულებით არა ჰგვანდა დღევანდელს, პირველ ხანების ადამიანი მეტად თავ-დაუჭერელი და თავისის გულის წადილის ამყოლი ყოფილა. „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასაო“,—სწორედ მაშინდელ დროის ადამიანზე ითქმის. კაცი და დედაკაცი ერთმანეთში იყვნენ არეულნი პირუტყვებივით, დღეს შეიყრებოდნენ, ხვალ ისევ გაიყრებოდნენ. ყოველ მამაკაცს შეეძლო ყოველ დედაკაცთან ცხოვრება, აგრეთვე დედაკაცსაც.

ერთის სიტყვით, ცოლ-ქმრობა არეული იყო, პირუტყვული, როგორც შეეფერებოდა პირვანდელს, გარეულს, და განადირებულს ადამიანს. ხოლო ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ადამიანმა თვით ნადირსაც-კი გადააჭარბა. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, მაგალითად, აი თუნდა ესრედ წოდებული ადამიანის მსგავსი მაიმუნი. მაიმუნი რაც უნდა ძლიერა ჰგვანდეს ადამიანს, მაინც მაიმუნია, უენო, პირუტყვი ცხოველია და თვით განადირებულს ადამიანზედ დაბლა სდგას. ხომ ასეა. წარმოიდგინეთ, რომ ამათ უფრო მტკიცედ ჰქონიათ დაცული ცოლ-ქმრობა, ვიდრე ადამიანს. ამ მაიმუნებს მხოლოდ ორ-გვარი ცოლ-ქმრობა აქვსთ წესად მიღებული: ზოგს თითო ცოლის მეტი არა ჰყავს, ზოგს-კი ბევრი ცოლი უზის. ხოლო არეულს, პირუტყვულს ცოლ-ქმრობას-კი ამათში არასოდეს არ შეჰხვდებით.

ძველს, წარსულს თავი დავანებოთ. დღესაც შეჰხვდები კიდეც, რომ ზოგიერთი წვრილმანი ჯერაც განადირებული, გაგარეულებული ხალხი არეულს, პირუტყვულს ცოლ-ქმრობას მისდევს.

ბ-ნი ლეტურნო, რომლის წიგნიდამაც მოგვყავს ეს ცნობები, ეჭვობს, რომ მთელს კაცობრიობას, თუნდაც განადირებულს, გაგარეულებულს, ასეთი ცოლ-ქმრობა ჰქონოდეს წესად მიღებული,—ეს ხომ ადამიანის სახელს ამცირებსო. სხვა მეცნიერნი-კი ერთხმად ამბობენ, რომ პირველს ხანებში ასეთი ცოლ-ქმრობა ადამიანთა შორის საერთო ჩვეულება იყოვო.

ვინ არის აქ მართალი, ვინ მტყუანი, ჩვენ ამის გამოკვლევას არ გამოვუდგებით. მხოლოდ იმას-კი ყველანი ერთ-ხმად ჰმოწმობენ, რომ ძველს, ჩვენგან ძლიერ დაშორებულს დროს განადირებულმა ადამიანმა ზომა და საზღვარი არ იცოდა და პირუტყვულად მისდევდა თავისის გულის წადილსა. ამას სხვათა შორის ისიც გვიმტკიცებს, რომ ჯერ დღევანდელს გა-

წარუდგინა ქალაქის საბჭოს გასაბჭობლად.

რითი დაბოლოვდა ეს საქმე, უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა «ივერიის» № 230, საცა ამ საგანზედ ბჭობა ქალაქის საბჭოსი საკმაოდ ვრცლად არის მოხსენებული.

ჩვენ მარტო იმ ამბების ჩამოთვლას ვიკმარებთ, რაც ამ თეატრის საქმის თაობაზედ მოხდა. ჩვენ ჩვენს ღარსა და ხაზს არ გავაბამთ ამა საქმის ზოგიერთს საკვირველს ვითარებაზედ, რადგანაც ეგ „ზოგიერთი ვითარებანი“ იმისთანანი არიან, რომ თვითონ ჩვენზედ უკეთ ჰლაპარაკობენ. მხოლოდ ეს-კია, რომ კარგს მთქმელს კაი გამგონიც უნდაო. და თუ ამ კარგს მთქმელს „ზოგიერთს ვითარებას“ კარგი გამგონიც შეხვდება, ის ჩვენთან ერთად დაიძახებს გაოცებული: ვა, ეს რა ამბავია, თქვენი ჭირიმეო!

## ახალი ამბავი

*** ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებას განზრახვა აქვს ტფილისში გაჰმართოს ტელეფონი საყოველთაო სახმარებლად. ხაზინა თავისის ხარჯით გამართავს ტელეფონის ბადეს, სადგურს და საჭირო მოწყობილებას იმათ სადგომებში, ვინც თანახმა იქმნება ტელეფონი იხმაროს. თუ სადგომი სამის ვერსის მანძილზე იქნება სადგურიდგამ, სადგურის პატრონი იხდის 150 მანეთს; თუ სამს ვერსზე მეტია, თითო ვერსისა უნდა გადაიხადოს 50 მან. ტელეფონის ხმარების სრულის წესისა და რიგის შემუშავება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი აბონენტი ეყოლება სადგურს. რათა მალე გაიმართოს ტელეფონის სადგური და საჭირო წესი და რიგი დროზე იქმნას შემუშავებული, ფოსტისა და ტელეგრაფის უწყება სთხოვს მცხოვრებთ დროზე განაცხადონ თავიანთი სურვილი. განცხადებაზე ოთხ აბაზიანი გერბის მარკა უნდა მიაკრან. სახელმწიფო დაწესებულებანი-კი გერბის გადასახადს არ იხდიან.

*** ამ დღეებში ტფილისში კენჭი უყარეს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცებს. სულ 575 კაცმა იყარა კენჭი. ამათგან ასს კაცს წილად ხვდა ჯარში ჩარიცხვა. 3 ამ თვეისას ახალი ჯარის-კაცები შეამოწმეს ექიმებმა.

*** 12 ამ თვეისას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა დარბაზში საგანგებო კრება იქმნება. კრებას ლაპარაკი ექმნება თავად-აზნაურობის სხვა-და-სხვა საჭიროებაზე.

*** გაზეთს «კავკაზს» სწერენ, რომ 29 წარსულის თვეისას სოხუმის მახლობლად, სოფ. ოლგინსკაში, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილა „კავკასის“ რედაქტორად ნამყოფი ნიკოლოზ ილიას ძე ფორონოვი.

*** კავკავის გზა ჯერ კიდევ ვერ გაუწმენდიათ ჩამოწოლილ თოვლისაგან და ამიტომ რუსეთის ფოსტა ტფილისს არც გუშინ მოვიდა.

*** ქ. ბაქოში ბ-ნს ტაბიძეს, სასტუმრო «ივერიის» პატრონს, გაუმართავს ბალი-მასკარადი წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. ამ საღამოდგან წმინდა შემოსავალი დარჩენილა 31 მ. 75 კ. აგრეთვე ამავ სკოლის სასარგებლოდ შემოუწირავთ: ბ-ნ გამრეკელს—10 მ., ტურიევს—5 მ., მარკელოვს—3 მ. და ტატაძეს—3 მ. ამ ნაირად სულ შეგროვილა 52 მ. 75 კაპ. ეს ფული ბ-ნს ტაბიძეს დანიშნულებისამებრ გაუგზავნია.

*** ამას წინად, როგორც მოხსენებული იყო, ხაშურში ვიღაცამ რევოლვერით დასჭრა დეპოს უფროსი ბ-ნი შპიგანოვიჩი. ეხლა, როგორც გაზეთი კავკაზი გვატყობინებს, პოლიციას უკვე აღმოუჩენია და შეუპყრია დამნაშავე, ბ-ნი შპიგანოვიჩი თავისს სახლში წევს და ექიმი აჰყავს.

*** 3-ს ნოემბერს, ნაშუადღევის ორს საათზე, რკინის გზის სავადმყოფოში ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა სახურავი და თავხეები. ცეცხლი გააქრეს, ბევრი არა დამწვარა-რა და არც არავინ დაზიანებულა.

*** 3-ს ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე, მეთხე განყოფილებაში, ლაბარატორიის ქუჩაზე, ექიმის ხალათოვის ბაღის კარებთან მიუგდიათ ბავშვი-ქალი. ყმაწვილი, როგორც ეტყობა, რვა დღისა უნდა იყოს. ეს ყმაწვილი აუყვანია მებაღეს ლევან ფირცხალიშვილს, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბები)

მერვი, 28 ოქტომბრის. ოც-და შვიდს ოქტომბერს მერვში დიდის ამბით იდღესასწაულეს თექელებმა მათ უდიდებულესობათა სასწაულებრივი გადარჩენა 17 ოქტომბრის უბედურების დროს. ამ დღეს დილით, ცხვ საათის რვაზე, უეცრივ მოაწყდა მერვს ოთხკუთხივ ცხენოსანი ხალხი თექისა დროშებით. თვითოეულ დროშიანს წინ მოუძღოდა თავისივე ხანი. დროშიანში იქმნებოდა ხუთის ხუთასამდე კაცი. თითო დროშიანს ჰყავნდა თან თხუთმეტ-თხუთმეტი ცხვარი. მოვიდა ეს ხალხი და პირდაპირ მერვის ოლქის უფროსის თანაშემწეს კარ წინ ჩამოხდა. ეტყობოდათ, რომ მხიარულად იყვნენ. უნდოდათ ჯერ თვით უფროსი ენახათ, მაგრამ რადგან უფროსი შინ არ შეესწროთ, მოახსენეს მის თანაშემწეს ბ-ნს კაზელკოვს. ჩვენ შევიტყვეთ, რომ მათ უდიდებულესობას, ჩვენს ხელმწიფეს, რომელსაც ამას წინად მიეგებებინით ბაქოში და რომელმაც ისე კარგად მიგვიღო, რაღაც უბედურება შემთხვევია რუსეთის გზაზედ თავისის უავგუსტოესის სახლობით, და უვნებლად გადარჩენილა. შევიტყვეთ აგრეთვე, რომ სამადლობელი პარაკლისი გადაგიხდიათ ეკკლესიაში; ჩვენცა გვყავს მოლა და გვსურს, რომ სამადლობელი მსხვერპლი შევწიროთ ღვთისა და გადავიხადოთ სამადლობელი ლოცვა წინაშე უფლისა მათის უდიდებულესობისა და მისის უავგუსტოესის სახლობის უვნებლად გადარჩენის გამო. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ უფროსის წინაშე, რომ მან მიულოცოს ჩვენ მაგიერ მათ უდიდებულესობათ მათი უვნებლად და მშვიდობით გადარჩენა.

შემდეგ თექლები დაბინავდნენ მერვის საშუალს გალავანში და თვით გალავნის ფართო კედელზედ. იქნებოდა ესე საათის თორმეტი, რომ გადაახდევინეს თავიანთს მოლას სამადლობელი წესი ლოცვისა. მერე დახოცეს ცხვრები, მოხარშეს ფლავები და დალაგდნენ ჯგუფ-ჯგუფად სადილად. მემუსიკენი გალავნის კედელზედ იდგნენ და შეაქცევდნენ გამხიარულებულს თექელებს. მემუსიკეთ სულ ორი კაცი იყო. ეს ორი კაცი იდგა გალავნის ფართო კედელზედ და თითო არშინის სიგრძე სტვირები ეჭირათ ხელში. ისე იგრიხებოდნენ წელში, რომ კაცი იტყოდა, აი აგერ გადაიმტვრევიანო: ხან მაღლა ასწევდნენ და ხან დაბლა დაიღებდნენ დედამიწამდე; ხან კიდევ მარცხნივ გაიშვერდნენ და ხან მარჯვნივ; ხოლო მომღერალთა მღეროდა სამადლობელს საგალობელსა და ლოცვებს.

ამავე დღეს მერვში იყო გამოფენილი წითელ-ყვითლად ბაირაღები, რომელნიც საამურად ამშვენებდნენ ქუჩებს. საღამო ჟამზედ სხვა-და-სხვა ფერის ფარნები მრავლად იყო ანთებული. პატარა ხანს უკან გაჩაღეს მაშხალები, როგორც მერვში, ისე თვით მერვის გალავანშიაც. თითქმის სამ საათზე მეტს ხანს მთელი მიდამო მერვისა სინათლით იყო გაჩაღებული და მრავალგან დანთებულს ცეცხლებს გაჰქონდა ბდღვრიალი.

რვა საათიდამ უფროსის თანაშემწეს კაზელკოვს მოწვეულნი ჰყავდა თავისთან ხანები და სხვა წარჩინებულნი კაცნი მერვისანი. მიდამო კაზელკოვის სადგურისა ჰქვავოდა ვენზელებით, რომლებზედაც ეწერა: „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“.

შუაღამის პირველ საათამდის უკრავდა ხოლო პოლკის მემუსიკეთა და თექელნი, რომელნიც გარს ეხვევოდნენ მემუსიკეთ, განუწყვეტლივ უშვებდნენ შუშხუნებს, მაგრამ შუშხუნები რიგიანად არ იყო მომზადებული და ამის გამო ვერ ადიოდა მაღლა; იქვე იფეთქებდა და ცვიოდა ნაპერწკალი. თექლები დიდხანს იცინოდნენ და ხარხარებდნენ.

ასე გაატარეს თექელებმა ეს დღე. ასე იმხიარულეს და იდღესასწაულეს ნაშუაღამევის პირველ საათამდე და შემდეგ ყველამ თავ-თავიანთს სახლში გასწია და მიწყნარდა ყოველივე.

მღ. დიმ. ნოზაძე

## პატარა ფელეტონი

### მთის წყარო

არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულ ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: «დაილოცე, ციელ მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?!» უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ექნა, მე ვერავის მიავფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონ. რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო! რა კარგი მეგობრები მყავნან გვერდსა! აი ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი კიდევ ჩემს თავზედ პირ-ყვითელი კლდე რომ დაყუდებულა და დამცქერის, მეხურება თავზედ მუზარადივით. ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის! სქელი, გველებივით დაკლაკნილი ფესვები ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ. ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ ხომ ჰღრიალებს, ჰბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, ჰგლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ქივილ-ხივილი: „დაარჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავისა

---

რეულს ადამიანსაც არ ესმის, რა არის სირცხვილი, როგორც არ ესმით პირუტყვებს. მაშ რა არის, თუ არ სირცხვილის დაკარგვა და ზნეობრივის გრძნობის დახშვა ასეთი მაგალითები. გარეულს ბუშმენებსა და ბევრს ავსტრალიის ახლო-მახლო კუნძულებზე მცხოვრებს გარეულს ხალხს არაფრად მიაჩნიათ ერთმანეთში ცოლების დათმობა დროებით; ესკიმოსებს კიდევ ჩვეულებადა აქვსთ ცოლების გაქირავება.

ოჰ, გულ-უბრყვილო ქვეყნის ფილოსოფოსო, ეს არის შენი ნაქები „ბუნების ადამიანი“? ყოველის ღირსებით, კეთილით აღსავსე? ამას გვიქადდი და გვისახავდი სამაგალითო ადამიანად? ნუ წამოსდგები საფლავიდამ, ნუ მოიხედავ აქეთკენ: შენი „ბუნების კაცი“, ეს ოცნების ნაყოფი, თვით უუბიწოესზე ბიწიერი ყოფილა!..

**

რამდენს ხანს მისდევდა კაცობრიობა „არეულს ცოლ-ქმრობას,—ამისი თქმა ძნელია. მხოლოდ ეს კია, რომ როდესაც ჟამთა ვითარების გამო ადამიანმა მეტი ჭკუა და ცოდნა შეიძინა, გულიც ცოტად გაიფაქიზა. ჭკუით განვითარებული და გულით გაფაქიზებული ადამიანი ვერ მოიქცეოდა ისე პირუტყვულად, როგორც იმისი წინაპარი, გაგარეულებული ადამიანი. ადამიანმა დაივიწყა ეს ნადირული ჩვეულება, ხოლო სრულებით-კი ვერა,—ადამიანი ასე ადვილად ვერ იცვლის ბუნებას. ადამიანს კიდევ კარგად ახსოვდა ის დრო, როდესაც ყოველს მამაკაცს შეეძლო, როდესაც და რა ხნითაც-კი მოისურვებდა, ყოველ დედაკაცის ქმრობა და აგრეთვე ყოველი დედაკაცსაც ყოველ მამაკაცის ცოლობა. მეტად დიდი და ძნელი ნაბიჯი იქმნებოდა, რომ ადამიანს ამ ჩვეულებისათვის უცბად თავი დაენებებინა და ერთს ცოლს დასჯერებოდა. ამიტომაც აი რას ვხედავთ: ადამიანს სამარცხვინოდ მიაჩნდა უსწორ-მასწოროდ, პირუტყვულად ცოლის შერთვა, თუმცა ბევრის ცოლის ყოლას-კი სათაკილოდ და ზნეობის წინაალმდეგად არა სთვლიდა.

ამ სახით, ცოლ-ქმრობამ სახე იცვალა: უსწორ-მასწორო, არეული ცოლ-ქმრობა გადავარდა და ამის ადგილი „მრავალ-ცოლობამ“ დაიჭირა.

კარგა ხანს შეითვისა ადამიანმა „მრავალ-ცოლობა“, კარგა ხანს ასეთი ცოლ-ქმრობა საუკეთესოდ მიაჩნდა კაცობრიობას. მაგრამ გაიარა დრომ და ხანმა. განათლებამ ღრმად გაიდგა ფესვი, ზნე-ჩვეულება შეიცვალა, ამასთანავე შეიცვალა ადამიანის აზრიც ცოლ-ქმრობაზე, მრავალის ცოლის ყოლა უსამართლოდ დაინახა ადამიანმა და კანონად დასდვა ერთის ცოლის ყოლა.

**

დღეს განათლებულს ერებში მხოლოდ არაბის ტომის ერნი და მაჰმადის მოძღვრების აღმასრულებელნი მისდევენ და კანონიერადაცა სთვლიან „მრავალ-ცოლობას“. როგორც ჰხედავთ, არაბის ტომნი და სხვა მაჰმადიანები ამ მხრივ უკან ჩამორჩნენ სხვა განათლებულს ერებს, ხოლო, რასაკვირველია, ეს გარემოება არ ამცირებს ამათ. ამათ ცხადად დაამტკიცეს ისტორიაში თავიანთი სულიერი ძალა, თავიანთი ნიჭი. იმისი მიზეზი, რომ არაბნი „მრავალ-ცოლობაზე“ შედგნენ, მხოლოდ სარწმუნოება იყო, მაჰმადის მოძღვრება, და ხომ მოგეხსენებათ, სარწმუნოებას რა დიდი ძალა აქვს, მეტადრე მაშინ, როდესაც ასეთს „ხორცის დამატკბობელს“ საგანს შეეხება.

თუნდ სარწმუნოებასაც რომ თავი დავანებოთ, მართალი უნდა ვსთქვათ, რომ მამაკაცის ბუნებას, მიდრეკილებას ისე არა შეეფერება-რა, როგორც მრავალ-ცოლობა. ეს ერთი, და მეორე კიდევ ის, რომ ჩვენთა წინაპართ მრავალ საუკუნოთა განმავლობაში ყოველთვის მრავლად ჰყოლიათ ცოლები, და ეს თვისება, ეს მიდრეკილება ისე შეითვისეს, ისე შეიხორცეს, რომ იგი ჩვენც გვიანდერძეს, ხორც-სისხლად გარდმოგვცეს. ამიტომაც საკვირველი არაფერია, რომ ადამიანი დღესაც ვერა სჯერდება ერთს ცოლს, ვერ ითვისებს „ერთ-ცოლობას“. ამას ვამბობთ არამც თუ მარტო მაჰმადის მიმდევრებზე,—არა, არა-ნაკლებ ცოდვილნი არიან ამაში ქრისტეს აღმსარებელნიც, თუმცა კანონი, ღვთისაცა და ადამიანისაც, ამას სასტიკად უკრძალავს.

მაგრამ მოგეხსენებათ, კანონი სხვაა, ბუნება და ზნე-ჩვეულება სხვა. თვით მაღალ განათლებულ ქვეყნებშიაც აბეზარი ბუნება არ ემორჩილება კანონს, რომელიც მხოლოდ ერთის ცოლის ყოლასა სთვლის შეწყნარებულ ცოლ-ქმრობად.

განა ამას განმარტება-ღა უნდა! მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, დაუკვირდით ჩვენს ცხოვრებას და განა არ დამეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი ყოველთვის ეწინააღმდეგება კანონს, არღვევს იმისს სასტიკს ბრძანებას!

თვით ჩვენი ავტორი, ლეტურნო, ამბობს, რომ „ერთ-ცოლობა“ ისეთი გვარი ცოლ-ქმრობაა, რომელსაც ყველაზე ძნელად ითვისებს ადამიანი, და ამის გამოც „ერთ-ცოლობა“ ძნელად იკიდებს ფეხს კაცობრიობის ცხოვრებაშიო.

**

თუმცა ბუნება ასე უჭირვეულდებოდა და დღესაც უჭირვეულდება, მაგრამ ერთ-ცოლობამ მაინც ასე თუ ისე განსდევნა „მრავალ-ცოლობა“, და კაცობრიობას ჰსურს „ერთ-ცოლობა“ სამუდამოდ დაამყაროს.

რა არის ამისი მიზეზი? „ერთ-ცოლობა“ ხომ თითქმის ძალდატანებაა, ისეთი მძიმე მოვალეობა, რომ მტკი-

გწამსთო!“ ცოტა არ არის მეც ბრალი მედება. ვაჰ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს ესე არ დაეწესებინე და სულ დაუსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომკვლა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი! რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს თავს, როცა მე ჩავუვლი გასახმობად დამზადებულს ბუერასა და იგი თავს დამიკრავს, სალამს მაძლევს, თან თავისის ფოთლებისას კაბას მიკერავს. მერე რომ ჩადუნიანში ჩავრაკრაკდები და ისინიც გარს შემომერტყმიან და ტრფიალით მომძახიან: „გაუმარჯოს მთის წყაროს, გაუმარჯოსო!“ ახლა ზვავისაგან წამოთელილს თხილებსა და ყურძნებს დავულბობ დამჭკნარს ფესვებსა და მაღლა ავახედინებ... ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ჩემს ამაგს რად აფუჭინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს! წუხელის რა ცუდი სიზმარი ვნახე! ღმერთო დამბადებელო, ჩვენო პატრონო, ჩვენო შემნახველო, კარგად ამიხდინე! ვნახე ვითომ ვილუპებოდი. გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო. ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამჭკნარიყვნენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის. ლაბუა, ლამაზი „წიფლის ჩიტა“, ჩამოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს გუბეში ბანაობა, მაგრამ ველარ დაისველა მხრები და დაიწყო ტირილი. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა: „სად წახველ, ჩემო მადლო-მეთქი ვღუღუნებდი. დამჭკნარი დიყი, შუპყა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძანი, ყველანი, ყველანი ერთად ჰშფოთავდნენ: „მივაშველოთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო“. მაწვდიდნენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფესვებიდამ თითო-ოროლის ნამობით, მაგრამ ველარასა მშველოდნენ. თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დავღუპულიყავ. შემეშინდა და გამომეღვიძა. გული მიკანკალებდა, შუბლზე ოფლი დამსხმოდა. ავიხედე, ნისლებით გაჭედილიყო ხევ-ხუვი. ქორაფშა ტოტები დამკრა, აკვანი დამირწია და დამღუღუნა: „ნუ გეშინიან, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო!“ ამ დროს, ღლისით ფრთხილი და წინ-დახედული, ზურგზე რქებ-გადაყრილი, „ყელ-ყურ ლამაზიანი“ ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა. მაშინ გულ-დამშვიდებულმა ვსთქვი: «არა ვარ გამშრალი, არაო!»

ვაჟა-ფშაველა

## იმპერატორი გერმანიისა

### ვილჰელმ II

### III*)

პრინც ვილჰელმის დანიშვნის შემდეგ კარგა დრომ გაიარა ჯვარის დაწერამდე. მისი სიმამრი ჰერცოგი შლეზვიგ-ჰოლსტინიისა გარდაიცვალა და ამის გამო ავგუსტენბურგის ოჯახი ძაძით შეიმოსა, ისე რომ დანიშვნის ამბავი მხოლოდ 2 ივნისს გამოაცხადეს 1880 წელს. ამ ამბის გამოცხადება დიდის დიდებითა და გამოჩენით მოხდა. იმ დღეს ბაბელსბერგის ციხე-დარბაზში იყვნენ თავმოყრილნი მოხუცებულის იმპერატორის ვილჰელმის სახლეულობის წევრნი, დიდებულნი, კარის-კაცნი და საპატიო სტუმარნი. სამეფო კარის მინისტრმა დიდის ამბით გამოუცხადა ამ შეკრებულებას:

„მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის იმპერატორისა და მეფის ბრძანებით ვაუწყებ ყველა აქ მყოფთა, რომ, მის უდიდებულესობისა და მათ უმაღლესობის მემკვიდრე პრინცისა და პრინცესის სურვილისამებრ, მათმა უმაღლესობამ პრინცმა ვილჰელმმა პრუსიისამ დანიშნა მისი უმაღლესობა პრინცესა ავგუსტა-ვიქტორია შლეზვიგ-ჰოლსტეინ ზონდენბურგ-ავგუსტენბურგისა“.

ამ დროს იმპერატორმა შემოიყვანა მეორე ოთახიდგან პრინცესა ავგუსტა და გააცნო ყველა სტუმრებს; მერე მოუწოდა თავისს შვილი-შვილს და ჩააბარა პატარძალი. როცა სტუმრები სადილად დასხდნენ და ტკბილეულობა ჩამოატარეს, მოისმა ზარბაზნების სროლა.

გავიდა ცხრა თვე და მხოლოდ მაშინ გაიმართა ქორწილი. ქორწილი დიდის ამბით იქმნა გადახდილი 27 თებერვალს 1881 წელს. ყველა ამ ცერემონიებსა და დღესასწაულებს შემდეგ ახალგაზდა მეფე-დედოფალმა დაიწყეს ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრება. საზოგადოებაში არა ვითარი ლაპარაკი აღარა ისმოდა-რა პრინც ვილჰელმის მეუღლეზე, იმის გარდა, რომ ძალიან უყვარს თავისი ქმარი და ჰზრუნავს იმისის სიკეთისათვისაო; რომ ორივენი ბედნიერები არიან და ბევრი შვილები ეძლევათო.

პირველი ყმაწვილი დაებადათ მაისში 1882 წელს. „მამა,—ახარა თურმე პრინცმა ვილჰელმმა თავისს მამას ფრიდრიხს, რომელიც სახლის ახლო ბოლთასა სცემდა:—ვაჟი გვყავს, ვაჟიო!

ეს ვაჟი „მეოთხე იმპერატორი“ უნდა ყოფილიყო შემდეგში.

მაშინვე მოეფინა მთელს გერმანიას ფოტოგრაფიის სურათი, რომელზედაც დახატული იყო მთელი სამეფო სახლეულობა. სურათზედ დახატული იყო: მოხუცი იმპერატორი, რომელსაც ახლად-დაბადებული შვილის შვილი-შვილი მუხლებზედ უზის; მარჯვნივ უდგა მემკვიდრე პრინცი, ფრიდრიხი, ტანით ახოვანი, სახით კეთილი და კმაყოფილი, რომ ახლა მეც პაპა ვარო; მარცხნივ ახალგაზდა პრინცი ვილჰელმი, რომელსაც ეტყობა, რომ დიდად იჭიმება, დაფიქრებულია და თავი მოსწონს. სურათს ქვეშ აწერია, „ოთხი იმპერატორი“. ამ სიტყვებს დიდი აზრი აქვს და მოასწავებს: წარსულს დიდებას, იმედს დღევანდელის დღისას და მერმისისას.

ეხლა ეს ახლად-დაბადებული უკვე მემკვიდრე პრინცია, ჰქვიან სახელად ფრიდრიხ-ვილჰელმი, აცვია გუსარის მუნდირი და თითქო დიდის ხნის ნამსახურიაო, ისე აძლევს სალამს ჯარის-კაცებს წარბ-შერჭმითა და დარბაისლურად.

აი როგორ ემზადებოდა პრინცი ვილჰელმი სამეფოდ: საადმინისტრაციო წესების გასაცნობად მან ერთი ზამთარი იმუშავა ბრანდენბურგის მაზრის პრეზიდენტთან ერთად. ამ ზამთარს შეისწავლა საქმენი სათემო, სამაზრო და საოლქონი. ხშირად დაესწრებოდა ხოლმე სამაზრო და საოლქო კრებაზედ. ბრანდენბურგელებს ძალიან უხაროდათ, რომ ვილჰელმი მათ შორის იყო, და რამდენჯერმე მადლობა გამოუცხადეს ასეთის პატივის-ცემისათვის. ვილჰელმიც აქებდა ბრანდენბურგელებს იმათის მამულიშვილობისა და ერთგულებისათვის ტახტისა და მეფის წინაშე: „რაც იქნება—იქნებაო! ბრანდენბურგელნი ჩვენ არას დროს არ დაგვტოვებენ და არას დროს არც ჩვენ დავტოვებთ ბრანდენბურგელებსაო!“

ეჭვი არ არის, რომ პრინცს კარგად ესმოდა ის საქმეები, რომელსაცა სწავლობდა მაინც. ვილჰელმს ფხიზელი და მკვირცხლი გონება აქვს. მაგრამ, რაკი არავინ არ მოელოდა, რომ ასე მალე შეემთხვეოდა გამეფება, ამიტომ საიმისო დიდს ყურადღებას არც სხვა და არც თვით არ აქცევდა, რომ სამეფოდ კარგად მომზადებულიყო. იმისი სატრფიალო მაშინაც და შემდეგაც უფრო მხედრობა იყო, ჯარი და უფრო მეტად იმისივე საკუთარი პოლკი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 231 და 232.

## რუსეთი

გაზ. „Новости“-ს სწერენ პარიჟიდგან ოქტომბრის გასულს: „დღეს école de médecine-ს ამფითეატრში ჩვენმა ფაკულტეტმა დაამტკიცა ახალი ექიმი, რუსის ქალი ქ-ნი გოლდშთეინი. ეს ახალგაზდა ქალი მეტად ეშხიანია, 22 წლისა, და კარგი გავლენაც იქონია დისერტაციის მოსასმენად შეკრებულს საზოგადოებაზე. გოლდშთეინს საშუალ [illegible] წამოსასხამი აცვია და მაღიანა ჰკავს ვექილის ტანისამოსით მორთულს პორციას, შექსპირის გმირს ქალს. იქვე იმყოფებოდნენ პროფესორები დამასკინი, დანდუზი და შოფარი, რომელთაც ასხიათ შავი წამოსასხამები წითლით შემოვლებული. ახალგაზდა ექიმს ქალს თავისის დისერტაციისათვის ამოურჩევია მეტად საინტერესო და თავისუფალი საგანი: ისტერია ბავშვებისა. დისერტაციის წაკითხვის შემდეგ პროფესორებმა აღიარეს ქ-ნი გოლდშთეინი docteur en médecine-დ, ხოლო საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა. ამხანაგებმა სტუდენტებმა მშვენიერის თაიგულის მიძღვნით მიულოცეს.“

— სენატის განკარგულებით, ის ფუნდის ბარათები და ანგარიშის ქაღალდები, რომელსაც აძლევენ სამოსწავლო, საქველ-მოქმედო და სამეცნიერო დაწესებულებანი, გერბის გადასახადს განთავისუფლებულია.

— შინაგანთ საქმეთა სამინისტროში მომავალ წლისათვის გამოუანგარიშნიათ, რომ 150,000 მან. ჯარიმის ფული უნდა შემოვიდეს იმ ებრაელ ოჯახობათაგან, რომელნიც სცდილობენ სამხედრო ბეგარა აიცილონ. ამას გარდა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს, რომ 5,000 მან. დანიშნოს ჯილდოდ იმათთვის, რომელნიც დაიჭერენ სამხედრო ბეგარისაგან გასხლტომილ ებრაელთ.

— სოფ. პონიაროვში, ფასტოვის მაზრას, ვიღაც ივანე ოვჩინიკოვი დანაძლევებია ექიმე რიკოვს თუნგ ნახევარ არაყზე, რომ შუშის ჭიქას შევჭამო. დაიწყო თუ არა ჭიქის ჭამა, ოვჩინიკოვმა დაიჭრა თურმე ტუჩები, პირი და ენა და სისხლი მთელს სახეზედ სდიოდა. ამ ამბის მოწმებად იყო იმ სოფლის რამდენიმე მცხოვრები. თუმცა დიდს ტკივილებს ჰგრძნობდა, ოვჩინიკოვმა მაინც თავი არ დაანება შუშის ღეჭვას და ამით დაამტკიცა თავისი ძლიერი ხასიათი. ხანგრძლივის ჭამის შემდეგ ჭიქა ნახევრამდე მოუქცია თურმე. რაკი დაინახა თურმე რიკოვმა, რომ თუნგ ნახევარ არაყს მიგებსო, დანარჩენი ნახევარი გამოჰგლიჯა ხელიდგან, რათა ნაძლევი არ წაეგო. მოდი და ნუ იტყვი, რომ თუნგ ნახევრის არყის გამო ასეთი ტანჯვა და გვემა საშინელებას და კაცი, ადამიანიშვილი-კი არა, ნადირი უნდა იყოს, რომ ასეთი საქმე ჩაიდინოსო.

## ახალი ისტორია საქართველოსი

თხზ. დ. ბაქრაძისა.

გვეჭდავთ იმ პროგრამას, რა პროგრამითაც არის შედგენილი ეს ახალი ისტორია საქართველოსი.

(შემდეგი*)

### IX

სასანიანთ სამეფო სახლი და წმ. ნინოს ქადაგება.

I. მეფენი: ვაჩე (213—231); ბაკურ I (231—246); მირდატ II (246—262);

*) იხ. „ივერია“ №№ 231 და 232.

---

ცეთ თითქმის არავინ ასრულებს? მაშ ვინ ატანს ძალას ადამიანს, რომ ამ გვარ ცოლ-ქმრობის დამკვიდრებას ასე სცდილობს? რას მოუმატებს კაცობრიობას ერთის გაცვლა მეორეზე?

ბევრი მიზეზი აიძულებდა ადამიანს, რომ მთელს კაცობრიობას „ერთ-ცოლობა“ შემოელო. ჯერ ერთი, აქ ქალ-ვაჟის რაოდენობის თანასწორობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ქვეყანაზე რამდენიც ქალი იბადება, იმდენიც ვაჟი. ცოტათი, ძლიერ ცოტათი გადააჭარბებს ხოლმე ერთი მეორეს. თითქმის დედაკაცებისა და მამაკაცების რიცხვიც ასევე თანასწორია. ცოტ-მეტობა აქაც შესაძლისია, მხოლოდ სათქმელად-კი არა.

რა გამოდის აქედამ? აი რა. იმ ქვეყნებში, სადაც „მრავალ-ცოლობა“ კანონით არის ნება-დართული, მძლავრი, გავლენიანი, მდიდარი კაცი ბლომად დაისაკუთრებს თავისთვის დედაკაცს და ღარიბს, დაჩაგრულსკი აღარაფერი რჩება.

განა თვით „მრავალ-ცოლობა“ პირველადვე ასე დაიბადა? როგორც ზემოდა ვსთქვით, ადამიანს ბუნებითვე ყოველთვის დიდი მადა ჰქონდა, რომ ბევრი ცოლი ჰყოლოდა, და თუ მადასთან ღონე და ძალაც მოსდევდა, ცხადია, აღარას დაგვიდევდა, რომ ულონო დაიჩაგრებოდა. განა ამას ყურადღებას აქცევენ როდისმე? განა არა ვხედავთ, რომ ძლიერი ულონოს ყოველთვის იბრიყვებს და სჩაგრავს!

ასეთი ძალადობა, დაჩაგვრა, რასაკვირველია, დიდი უსამართლობა იყო. უსამართლობას, ძალადობას, ვერ შეიწყნარებდა განათლებული საზოგადოება, რომელსაც უნდა, რომ ყოველს წევრს საზოგადოებისას თანასწორი უფლება ჰქონდეს, რომ დედაკაცები თანასწორ იყვნენ განაწილებულნი და ყველა მამაკაცს შეეძლოს ერთის ცოლის ყოლა მაინც. თორემ სადაური სამართალია, ერთს ოცი ჰყვანდეს და სხვას-კი ერთიც არა!..

გარდა ამისა, „მრავალ-ცოლობა“ თავის თავადაც ისპობოდა იქ, სადაც ხალხს შეძლება არა ჰქონდა. მართლადაც და ვისაც ბევრი ცოლი ჰყავს, უნდა მოელოდეს ბევრს შვილებსაც და, მაშასადამე, დიდს ოჯახს, და დიდს ოჯახს-კი დიდი გაძღოლაც უნდა. თუ ცოლს დიდი ცომი უნდაო, როგორც ჩვენში იტყვიან, მაშ რამდენად უფრო უფრო მეტი ცომის მოზელა მოუნდება, ვისაც ბევრი ცოლი აუკიდნია.

მართლაც-და აბა შეჰხედეთ მაჰმადიანებს? ამათ ხომ თვით სარწმუნოება და კანონი არამც თუ ნებას აძლევს, პირ-იქით, თითქმის ვალადაც ადებს, ბევრი ცოლი იყოლიოს,—მერე ბევრი ასრულებს ამ ბრძანებას? სრულიადაც არა: მხოლოდ მდიდრებს, წარჩინებულს კაცებსა ჰყავსთ ბევრი ცოლი, თორემ მდაბიო, მუშა ხალხში ძალიან იშვიათად შეჰხვდებით, რომ ერთს ცოლზე მეტი ჰყვანდეს. ყორანი უბძანებს, ბევრი ცოლი იყოლიეო, ჯიბე-კი ეუბნება, ერთსაც დასჯერდიო.

აი ის უმთავრესნი მიზეზნი, რომელნიც ადამიანს ძალას ატანდნენ და დღესაც ატანენ, რომ ბევრს ცოლს არ გამოუდგეს და ერთი იკმაროს. როგორც ჰხედავთ, ცხოვრება არამც თუ კანონს ასწორებს, თვით ადამიანის ბუნებასაც-კი ალვირსა სდებს პირში, თუმცა ბუნება ბევრის მსურველია.

**

ჩვენ გავსინჯეთ სამ გვარი ცოლქმრობა, რომელიც დღევანდლამდე კაცობრიობას გამოუცდია. პირველი—არეული, უსწორ-მასწორო ცოლ-ქმრობა,—როგორც მეტად პირუტყვული, სახსენებელი არ არის. მეორე და მესამე-კი, ე. ი. „მრავალ-ცოლობა“ და „ერთ-ცოლობა“, ყურადღების ღირსია, როგორც კაცობრიობის ცხოვრების თანამორბედი,—სხვა მეტი არაფერი! კაცობრიობის წინმსვლელობაზე, განათლებაზე არც ერთსა და არც მეორეს დიდი ზედგავლენა არა ჰქონია. ვერ ვიტყვით, რომ, მაგალითად, „ერთ-ცოლობა“ განათლებას წინ სწევსო და „მრავალ-ცოლობა“-კი უკანაო,—ამბობს ლეტურნო.

მართლაც-და „ერთ-ცოლობა“ თუ „მრავალ-ცოლობა“ აქ არაფერს შუაში უნდა იყოს. განა ზოგიერთს მაიმუნებს-კი არა ჰყავსთ მხოლოდ თითო ცოლი? არიან განადირებული, გაგარეულებული ხალხნიც, რომელთაც ბევრის ცოლის ყოლა არასოდეს წესად არა ჰქონიათ.

და აი ამავე დროს ვიცით, რომ ზოგიერთს დიდად განათლებულს, დიდს წარმატებაში შესულს ერს ბევრის ცოლის ყოლა დაკანონებული აქვს.

მერე რას ამტკიცებს ან ერთი და ან მეორე მაგალითი?—რასაკვირველია, არა იმას, რომ შეიძლებოდეს შედარება და ან რაიმე მსგავსება, ვსთქვათ, მაიმუნისა, თუნდაც ერთის ცოლის პატრონისა, და თუ გინდ არაბისა, რომელსაც რამდენიმე ცოლი უზის!..

მაშასადამე, ცოლ-ქმრობის ასეთს თუ ისეთს სახეზე ვერ დავამყარებთ ჩვენს აზრს და ვერ ვიტყვით, რომ ესა და ეს ერი წინ არის წასული განათლების გზაზე ამა და ამ გვარ ცოლ-ქმრობის წყალობითაო.

ლეტურნოს აზრით, ამ გარემოებაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ რა პატივი აქვს, როგორ ეპყრობიან დედაკაცს რომელსამე საზოგადოებაში. თუ კარგად ეპყრობიან დედაკაცს,—მაშ საზოგადოება მაღლა დგას ჭკუა-გონებით, თუ ცუდად,—უტყუარი საბუთია, რომ თვით საზოგადოებაც დაცემულია.

—

აი როგორი იყო ცოლ-ქმრობა წარსულში. დღეს როგორი-ღაა და შემდეგში რა გვარად იცვლება? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

დონ-იაგო

ასფაგურ (262—265).—ამ დროს სომხითის ისტორიის სურათი: ხოსრო დიდი (198—232) და თირდატ დიდი (232—259).

II სამეფო სახლი სასანიანთი და თვისება იმის ისტორიისა.

III მეფე მირიანი სასანიანი ანუ ხოსროიანი (265—342).—გარკვევა იმის ისტორიისა.

IV ქართლ-კახეთის განათლება ქრისტეს ალსარებით წმ. ნინოსაგან.—განხილვა ნინოს ცხოვრებისა.

X

სპარსეთის სასანიანთ ძალა და იმათგან სომხითის დანაწილება.

I მეფენი: ბაქარ I (342—364); მირდატ III (364—379).—ბაკურიუსი რუფინისა და ფაქტები მარციანის იმ დროს საქართველოზე.

II ვარაზ-ბაქარ, ანუ ბაქარ II (379—393).—იმისი შვილი მურვანოზი ანუ წმ. პეტრე პალესტინის მღვდელთ-მოძღვარი. —პეტრეს „ცხოვრება“ თვით იმის მოწაფეისაგან შედგენილი.

III სპარსეთის სასანიანთ ძალა და სომხითის დანაწილება 390 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის.

IV თირდატ (393—405); ფარსმან IV (405—408); მირდატ IV (408—410); არჩილ I (410—443).

V. სომხითის შინაგანი მდგომარეობა და დამოკიდებულება სომხობისა ქართველობასთან.

XI

ბრძოლა ქრისტეს სჯულისა და ცეცხლის-მსახურებისა.—სპარსეთი და ბიზანტია საქართველოში.

I ვახტანგ გურგასლანი (446—499).—ჩვენი და უცხო ტომთა წყაროები ვახტანგზე.—სპარსეთისა და ბიზანტიის ისტორიის მომდინარეობა იმ დროს.

II ჩვენი აზრი ვახტანგზე.—ხალკიდონის მსოფლიო კრება 451 წელს.—საკათალიკოზოს დაარსება.—ვახტანგის ისტორიაში ნაჩვენები „ნებროთის წიგნი“.—რა გვარი მწერლობა უნდა გვქონიყო ჩვენ იმ დროს.—„ცხოვრებანი“ წმ. რაჟდენისა და წმ. შუშანიკისა.

III დაჩი (499—514); ბაკურ II (514—528); ფარსმან V (528—542) და ფარსმან VI (542—557) და იმათ დროს ცნობა ბიზანტიელებისა დასავლეთს საქართველოზე, ანუ, როგორც თვით იგინი უწოდებენ, ლაზიკაზე.—პროკოპის ცნობით, აფხაზების გაქრისტიანება და ბიჭვინტის ტაძრის ალშენება იმპერატორის იუსტინიანესაგან (527—565).

VI ათ-ცამეტნი სირიელნი მამანი საქართველოში.—ბაკურ III (557—570).

XII

ბაგრატიონთ სამეფო სახლი და არაბნი მაჰმადიანნი.

I ბაგრატიონნი სომხითში და საქართველოში.

II მთავარნი: გვარამ (575—600).—დარღვევა სომეხთ-ქართველთ სარწმუნოებრივის კავშირისა.

III სტეფანოს I (600—619); ადარნასე I (619—639); სტეფანოს II (639—663).—ჯვარ-პატიოსანი და იმისი ქანდაკები.—იმპერატორი ირაკლი ჩვენში ებრძვის ცეცხლის ალსარებასა.

IV მაჰმადის გამოჩენა და გავრცელება არაბთ მფლობელობისა.

V. მეფენი: მირ (663—668); არჩილ II (668—718); იოანე (718—786) და ჯვანშერ.—კოსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრება და დამოუკიდებელი კათალიკოზი საქართველოში.—ხუთასიანი ქორონიკონი და იმისი გამოკვლევა.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

4 ნოემბერი

პეტერბურგი. მინისტრის ამხანაგი, სტატს-სეკრეტარი ფინლიანდიისა გენერალი ერნრსტი დაინიშნა დიდის სამთავროს ფინლიანდიის მინისტრ-სტატს-სეკრეტრად.

პარიჟელის გაზეთის „Matin“-ის წერილის გამო, რომელიც ამტკიცებდა, ვითომ რუსეთი 1879 წელს საფრანგეთის მომხრეობას აპირებდაო, „Journal de St.-Petersbourg“-ი ამბობს, რომ ბ-ლო უნდა მოელოს განძრახ მოგონილს ამბებსაო. რუსეთს, რასაკვირველია, ჰსურს, რომ საფრანგეთმა დაიბრუნოს თავისი სახელი და დიდება, რაც ძალიან საჭიროა ევროპისათვისაო. მაგრამ რუსეთი დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანობა ორსავე სახელმწიფოსათვის სასარგებლოა. გაზეთის „Matin“-ის მიერ მოგონილი ამბავი-კი იმ საქმესავე ხელს უშლის, რომელსაც თვითონ ემსახურება.

ჩარჯუი. ის ამბავი, ვითომ ისხაკხანი ავლანის თურქესტანში გამოჩნდაო, ჯერ-ჯერობით არა მტკიცდება.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაურიგდნენ. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 75 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $154^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა | — „ | — „ | $242^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

5 დღე შაბათი. მოწ. გალაქტიონისა და წმ. გრიგოლისა და იონასი. კათოლ. ზაქარიასი და ელისაბედისა. სომეხ. მთავარ ანგელოზთა გაბრიელისა და მიხეილისა. მაჰმად. მე-13 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—უმაღლესად ბრძანება გამოვიდა, რომ ქართველთა ეკკლესიათა მამულები ხაზინას გარდაეცეს, 1869 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—51, ჩადის 4—38. მთვარე 14 დღისაა.

6 დღე კვირა. წმ. პავლესი და ვარლაამისა. კათოლ. მეუდ. ლეონარდისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-14 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—იერიშით აღებულ იქმნა ყარსის ციხე 6 ნოემბრის 1877 წ. გათენებისას.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—53, ჩადის 4—37. მთვარე 15 დღისაა.

7 დღე ორშაბათი. მოწ. იერონისა და ლაზარესი. კათოლ. წმ. ჰენრიხისა. სომეხ. ანტიოქიის პატრიარქ მელენიასი და სხ. მაჰმად. მე-15 რიცხვი თვისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 4—37. მთვარე 10 დღისაა.

8 დღე სამშაბათი. წმ. მიხეილისა და სხ. აგრეთვე მართასი და მარიამისა. კათოლ. ეპ. გოდფრიდისა. სომეხ. წმ. მოწ. დიმიტრისა და ვასილისკესი. მაჰმად. მე-16 რიცხვი თვისა რები-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 4—36. მთვარე 17 დღისაა.

9 დღე ოთხშაბათი. მოწ. ონისიფორესი, პორფირიასი და ალექსანდრესი. კათ. ურსინასი და ჰუგონისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-17 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—56, ჩადის 4—36. მთვარე 18 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ „ |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 „ |
| მე-3 — | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ, შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.


# განცხადებანი

ქართული წიგნი

## სარკე

კაცის შინაგანის ცხოვრებისა, რომლის შემწეობით თვითოეულს შეუძლიან გასწორება თვისის სულიერ მდგომარეობისა.

ათის მხატვრობით.

გამოცემული ათონის ქართველთა იოანე ღვთის-მეტყველის სავანისა.

ფასი 50 კაპ.

ისყიდება ტფილისში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, და ქუთაისში, ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში. (5—3)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე

## მამული ვორონოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამკურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—6)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. წუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა | „ | 25 |
| ხაიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | „ | 35 |
| ვაზის ობი. | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




## არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ ვაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოეს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—2)

## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ ისყიდება „საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე